

შპს აგროსერვის ცენტრი ს/ნ 406321065
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ციფრები მოცემულია ერთეულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

		2023	2022
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	7	2,869,411	6,121,031
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	8	(3,414,117)	(8,357,804)
საერთო მოგება		(544,705)	(2,236,773)
მიწოდების ხარჯები		(38,055)	(35,655)
ხელფასის ხარჯი		(141,116)	(119,948)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(60,876)	(237,192)
საექვო ვალების ანარიცხები		-	-
მარაგების ანარიცხები		-	-
საოპერაციო მოგება/ზარალი		(784,753)	(2,629,568)
საპროცენტო შემოსავალი	9	29,261	
საპროცენტო ხარჯი		-	
ნეტო მოგება/ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან		-	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		17,592	46,215
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	
მოგება (ზარალი) გადასახადების გადახდამდე		(737,900)	(2,583,353)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი) საქმიანობიდან		(737,900)	(2,583,353)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(737,900)	(2,583,353)

გიორგი მდივანი
 მთ. ბუღალტერი



შპს აგროსერვის ცენტრი ს/ნ 406321065
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ციფრები მოცემულია ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

		31-Dec-23	31-Dec-22
ფული და ფულის ექვივალენტები	1	25,899	621,847
სავაჭრო მოთხოვნები	2	806	-
სასაქონლო მარაგები	3	4,634,341	4,238,767
ავანსები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	12,200	12,200
		4,673,246	4,872,814
სულ მოკლევადიანი აქტივები			
მიწა		-	-
შენობა-ნაგებობები		-	-
მანქანა დანადგარები		-	-
სატრანსპორტო საშუალებები		19,562	22,056
არამეტერიალური აქტივები		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
		19,562	22,056
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,692,808	4,894,870
მთლიანი აქტივები			
სავაჭრო ვალდებულებები		15,154	33,097
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
გადასახდელი პროცენტი		-	-
მოკლევადიანი სესხები		-	-
ანარიცხები		104,974	67,521
საგადასახადო ვალდებულებები	5	17,258	140,608
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			
		137,386	241,226
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
კაპიტალი		7,889,720	7,250,042
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		(3,334,298)	(2,596,398)
		4,555,422	4,653,644
სულ საკუთარი კაპიტალი		4,692,808	4,894,870
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			


გიორგი მდივანი
 მთ.ბუღალტერი

შპს აგროსერვის ცენტრი ს/ნ 406321065
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ციფრები მოცემულია ერთეულ ლარში

კაპიტალის მოძრაობის უწყისი

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
31-12-21	11,924,915	(13,045)	11,911,870
2022 წლის მოგება (ზარალი)		(2,583,353.00)	(2,583,353)
კაპიტალის შემცირება (-)	(5,160,000)		(5,160,000)
კაპიტალის გაზრდა (+)	485,127		485,127
31-12-22	7,250,042	(2,596,398.00)	4,653,644
2023 წლის მოგება (ზარალი)		(737,900.00)	(737,900)
კაპიტალის შემცირება (-)	(3,170,000)		(3,170,000)
კაპიტალის გაზრდა (+)	3,809,678		3,809,678
31-12-202231/12/2023	7,889,720	(3,334,298.00)	4,555,422

გიორგი მდივანი
 მთ. ბუღალტერი



შპს აგროსერვის ცენტრი ს/ნ 406321065
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 1 ფული და ფულის ეკვივალენტები

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
ნაღდი ფული	1		
ფული ბანკში	1	25,899	621,847
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები		25,899	621,847
1 ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით		31-დეკ-23	31-დეკ-22
ქართული ლარი (GEL)		25,899	621,847
აშშ დოლარი (USD)	\$	-	-
ევრო (EUR)	€	-	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები		25,899	621,847

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია ლარში მიმდინარე ანგარიშებზე სს საქართველოს ბანკში და ლიბერთი ბანკში. კომპანიას უცხოურ ვალუტაში ოპერაციები არ აქვს. კომპანიას არ აქვს სალარო. ყველა ოპერაცია სრულდება საბანკო ანგარიშსწორებით.

შენიშვნა 2 სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31-დეკ-23	31-დეკ-22
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	806	-
მინუს: საექვო მოთხოვნების ანარიცხები	-	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები	806	-
კომპანია ყიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ქონების სააგენტოს აუქციონის -ის მეშვეობით. ყველა მყიდველი აუქციონზე იხდის წინასწარ, ამიტომ კომპანიას დებიტორული დავალიანება არ გააჩნია. 2023 წლის ბოლოს არსებული დავალიანება 806 ლარი გამოწვეულია იმით, რომ ქონების სააგენტოს მიერ აღნიშნული თანხა ჩარიცხული იქნა 2024 წლის დასაწყისში		

შენიშვნა 3 მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება დამფუძნებლის მიერ კაპიტალში შეტანილი სასოფლო სამეურნეო ტექნიკის და უძრავი ქონებისგან.

შენიშვნა 4 ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31-12-23	31-12-22
გადახდილი ავანსები	-	-
სხვა	12,200	12,200
სულ	12,200	12,200

2023 წლის ბოლოს დამფუძნებლის ვალი იყო 12 000 ლარი ფულადი შენატანი, რომელიც დაიფარა 2024 წელს

შენიშვნა 5 სხვა ვალდებულებები

აუქციონზე წინასწარ ჩარიცხული თანხები, რომლითაც შეძენილია ტექნიკა, მაგრამ ჯერ გადაცემული არ არის მყიდველისთვის.

შპს აგროსერვის ცენტრი ს/ნ 406321065

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 6 საწესდებო კაპიტალი

შპს აგროსერვის ცენტრის კაპიტალი შედგება დამფუძნებლის შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის მიერ შეტანილი სასოფლო სამეურნეო ტექნიკის და უძრავი ქონებისგან.

კომპანიას 2023 წელს დივიდენდი არ გაუცია

კაპიტალის მართვა

კომპანიის შემოსავალია მხოლოდ ქონების სააგენტოს ელექტრონულ აუქციონზე კაპიტალში შეტანილი ტექნიკის რეალიზაცია, როგორც საპროცენტო გეგმის ნაწილი. კომპანია არ განიხილება როგორც ფუნქციონირებადი საწარმო გრძელვადიან პერსპექტივაში.

შენიშვნა 7 სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი

კომპანიის შემოსავალია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რეალიზაცია ქონების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის მეშვეობით

სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	2023 წელი	2022 წელი
იურიდიული/ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავლები	2,869,411	6,121,031
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	2,869,411	6,121,031

შენიშვნა 8 გაყიდული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული ტექნიკა შეფასებულია აუდიტორული კომპანიის მიერ კომპანიის კაპიტალში შეტანის დროს.

შენიშვნა 9 საპროცენტო შემოსავალი

2023 წელს კომპანიამ მიიღო საპროცენტო შემოსავალი დროებით თავისუფალი ფულის მოკლევადიან ანაზარზე განთავსებით ლიბერთი ბანკში 29 261 ლარის ოდენობით.

შენიშვნა 10 პირობითი ვალდებულებები, ანარიცხები და საოპერაციო რისკები

10.1 სასამართლო დავები

ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის კომპანია არ არის ჩართული სასამართლო დავებში.

10.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. შესაბამისად საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა დაიწუნონ ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის და საქმიანობისთვის განხორციელებული ტრანზაქციების ინტერპრეტაცია. საგადასახადო ორგანოები ხშირად იკავებენ უფრო მტკიცებით პოზიციას კანონმდებლობის და შეფასებების ინტერპრეტირებისას. შედეგად, შესაძლებელია დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და პროცენტების დაწესება.

შენიშვნა 11 ფინანსური რისკების მართვა

11.1 საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არიან დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, რადგან კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივები და ვალდებულებები.

11.2 სავალუტო რისკი

კომპანიას არ გააჩნია ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად სავალუტო რისკი არ არსებობს.

შენიშვნა 11 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

11.3 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა) და მისაღები დებიტორული დავალიანებიდან. ანგარიშგების დღისათვის კომპანიას არ აქვს სხვა ფინანსური აქტივები, ამიტომ მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-23	31-დეკ-22
ფული და ფულის ეკვივალენტები (ფული ბანკში)	25,899	621,847
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	15,154	33,097
სულ საკრედიტო რისკი	41,054	654,944

კომპანიის ფული განთავსებულია მაღალი სანდოობის მქონე ფინანსურ ინსტიტუტში, კერძოდ სს საქართველოს ბანკში და ლიბერთი ბანკში, რაც მენეჯმენტს აძლევს გარანტიას რომ არ არსებობს საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულსა და ფულის ეკვივალენტების ნაშთებთან.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის მენეჯმენტი ქმნის გაუფასურების ანარიცხს მაშინ, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნის ამოღებას. გარდა ამისა, საქონლის რეალიზაცია ძირითადად ხდება წინასწარი ანგარიშწორების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ოდენობის დებიტორული დავალიანება და, შესაბამისად, საკრედიტო რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი.

შენიშვნა 12 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და საადრიცხო კლასიფიკაციები

12.1 რეალური ღირებულებები და საადრიცხო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

12.2 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია იყენებს შემდეგ იერარქიას რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის:

ლონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

ლონე 2 შემაჯავლი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ ლონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემაჯავლი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამოდინარე.

ლონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომია შემაჯავლი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

შენიშვნა 13 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა

შპს აგროსერვის ცენტრი ს/ნ 406321065
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები
 თანხები მოცემულია ლარში
 ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023 მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე

უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები პარტნიორი	შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	12,000
სულ		12,000

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წელი	კაპიტალის გაზრდა	კაპიტალიდან ამოღება
პარტნიორი	შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	3,809,678 (3,170,000)
სულ	3,809,678	(3,170,000) -

შენიშვნა 13 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022 კაპიტალი

უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები პარტნიორი	შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	7,889,720
სულ		7,889,720

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წელი	კაპიტალის გაზრდა	კაპიტალიდან ამოღება
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები პარტნიორი	შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	485,127 (5,160,000)
სულ	485,127	(5,160,000) -

შენიშვნა 14 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

კომპანია არ განიხილება როგორც ფუნქციონირებადი საწარმო გრძელვადიან პერიოდში

შენიშვნა 15 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ.მდივანი
 მთ.ბუღალტერი

